სამაგისტრო პროგრამის დასახელება: ფილოსოფია
ოთხი სასპეციალიზაციო მოდული:
1. კულტურის ფილოსოფია და ესთეტიკა.
2. პოლიტიკური ფილოსოფია.
3. მორალის ფილოსოფია და გამოყენებითი ეთიკა,
4. ლოგიკა და ფილოსოფიის ისტორიის ონტოლოგიურ-ეპისტემოლოგიური ასპექტები.

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფილოსოფიის მაგისტრი / MA in Philosophy

პროგრამის ხელმძღვანელები: სრული პროფესორი ა. ყულიჯანიშვილი, ასოც. პროფესორი დ. ჯალაღონია, ასოც. პროფესორი ა. ზაქარიაძე, სრული პროფესორი ლ. ალექსიძე, ასოც. პროფესორი ლ. მჭედლიშვილი.

პროგრამის ანალოგები:
www.indiana.edu/ ~scswet/gchicago
www.aesthetics-online.org/teaching/silvers.html
www.uh.edu/~cfreelan/courses/1361/
Goldsmiths University of London, Center for Culturul Studies- http://www.goldsmits.as.uk
University of pittsburg, The Greduate Program for Culturul Studies-http://www.pitt.edu
George Mason University, Cultural Stadies-http://culturalstadies. gmu.edu
University of California, Davis, Cultural Stadies -http://www.ucdavis.edu/
The MA is associated with the Centre for Critical Social Theory of Sussex
Further information. William Outwaite E-mail r.woutwaite@sussex.ac.uk, tel.: +44(0) 1273678621.
www.ox.ac.uk, – ოქსფორდი. www.bn.edu, ბოსტონი. www.princeton.edu, პრისტონი. www.yale.edu, იელი
პროგრამის ახლო ანალოგები მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში:
University of Pittsburg (აშშ ზოგად ფილოსოფურ რეიტინგში #5)
http://www.pitt.edu/~philosop/graduate/MARequirements.html
University of North Carolina, Chapel Hill (აშშ ზოგად ფილოსოფურ რეიტინგში #10)
http://philosophy.unc.edu/synopsis.htm
ჰოვარდის უნივერსიტეტი. Howard University, Philosophy Department. http:/www.coasw.howard.edu/philosophy/at howard/html.

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება (მიზანი, სწავლის შედეგი, დასაქმების სფეროები, სწავლის გაგრძელების საშუალება)
ა) მიზანი
ფილოსოფიასთან მიმართებაში ეჭვს არ იწვევს ხელოვნების და კულტურის, პოლიტიკის, ლოგიკის ფილოსოფიური პრობლემების, ფილოსოფიის ისტორიის ონტოლოგიურ-ეპისტემოლოგიური ასპეკტით შესწავლის აქტუალობა. ადამიანისათვის ფუნდამენტურია სამყაროსადმი ფილოსოფიური მიმართება, სამყაროს ფილოსოფიური სურათის შექმნას უზარმაზარი ტრადიცია გააჩნია, სამაგისტრო პროგრამის მოდულები ისეა აგებული, რომ სტუდენტებს მისცემს საშუალება გაერკვეს კლასიკურ და არაკლასიკურ ფილოსოფიურ პარადიგმებს შორის მიმართების საფუძვლებში. თითოეულ მოდულში ექსისტენცის ტრანსცენდირების ერთ-ერთი

უმნიშვნელოვანესი ონტოლოგიური მოდუსია წარმოდგენილი, რომელთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ფილოსოფიის მიერ საკუთარი მოწოდების რეალიზება და სამყაროში ადამიანის ადგილის (სრულფასოვანი) განსაზღვრა.

სამაგისტრო პროგრამაში თანამედროვე ფილოსოფიის სწორედ ეს სპეციფიკაა გათვალისწინებული. იგი იმ ფილოსოფიური მიმდინარეობების, კონცეფციების, სტრატეგიების შესწავლაზეა ორიენტირებული, რომელთა გარეშეც დღევანდელ ინტელექტუალურ ვითარებაში წარმოუდგენელია ფილოსოფიური პრობლემების თემატიზირება და გადაწყვეტა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კლასიკურ და არაკლასიკურ პარადიგმებს შორის კონფლიქტის არსის გაშუქებას, პოსტმოდერნული პოსტულატების სისტემატურ და კრიტიკულ გააზრებას.

მაგისტრატურის კურსის გავლა მაგისტრს საშუალებას მისცემს ჩამოუყალიბდეს მეცნიერული აზროვნების უნარი, ხელოვნების და კულტურის, პოლიტიკის ანალიტიკოსისა და ექსპერტისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. პროგრამა წარმოდგენილია ოთხი სასპეციალიზაციო მოდულით. სპეციალობის არჩევა ხდება მეორე სემესტრიდან,გარდა IV მოდულისა, სადაც I სემესტრში აირჩევა ორი სასპეციალიზაციო საგანი.

ბ)სწავლის შედეგი

სასწავლო პროგრამის დანერგვა ხელს შეუწყობს ანტიკურიდან დღევანდელოვამდე ფილოსოფიის მიღწევების ღრმა ათვისებას, პოლიტიკის, ენის და ლოგიკის, ეთიკის, ხელოვნების აგრეთვე კულტურის სხვა მოვლენების ჰუმანიტარული კვლევების აუცილებელი კონცეპტუალური ბაზით უზრუნველყოფას, საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამისი პროფილის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობას.

1. **ცოდნა და გაცნობიერება**

მოდულების გაერთიანება ქმნის როგორც ფილოსოფიური ცოდნის ერთიან სისტემას, ასევე მოდულთა სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს. პროგრამისთვის სავალდებულო საგნებიდან მაგისტრს ეძლევა ცოდნისა და გაცნობიერების შესაძლებლობა.

- ხელოვნებასა და ზოგად კულტურასთან დაკავშირებული კონცეპტუალური საკითხების ცოდნა.
- პოლიტიკურ ღირებულებათა სისტემის ცოდნა, როგორიცაა თავისუფლება, სამართლიანობა, თანასწორობა, წესრიგის არსი, როგორ ხდება მათი რეალიზაცია.
- დედუქციურ მეცნიერებათა მეთოდოლოგიის ცოდნა.
- ენის დაუფლება სოციალურ, პოლიტიკურ, კულტუროლოგიურ, ლოგიკურ-ფილოსოფიები პროფესიულ თემებზე სასაუბროდ და წერითი კულტურის დაუფლება.
- კომპლექსური ტექსტების გაგება და თხზულების, წერილისა ან ანგარიშის ფორმით გადმოცემა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. პრაქტიკული უნარები

- შეეძლება კომპლექსურად (ოთხივე მოდულიდან) პრობლემების ორიგინალურად გადაჭრა
- შესაბამის დისციპლინასთან დაკავშირებულ ან მომიჯნავე (მულტიდისციპლინარულ) კონტექსტში ცოდნის გამოყენება.
- ცოდნის ინტეგრირების უნარი, სირთულეებისათვის თავის გართმევა

- დასკვნების საჯარო წარდგენა. მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნით და ლოგიკით სპეციალისტებთან.
- სრულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოსაზრებების წარმოჩენა, რომელიც ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაში აისახება.

ზოგადი ტრანსფერული უნარები

- შემოქმედებითი, დამოუკიდებელი, სინთეზური აზროვნების უნარი.
- საზღვრითი პრობლემების გამიჯვნის და ერთიანობაში განხილვის უნარი.
- არასრულ და შეზღუდულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოსაზრებების ჩამოყალიბება, პრობლემის გადასაჭრელად დამატებითი რესურსების მოძიება.
- ახალი ღირებულებების, კულტურათა დიალოგში ძირითადი და სპეციფიური ნიშან-თვისებების გამორჩევის უნარი.
- ცოდნის ისეთ უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომელიც დამოუკიდებლად სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას მისცემს.

გ) დასაქმების სფეროები:

მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ მათ ექნებათ შესაძლებლობა მეცნიერული მუშაობა გააგრძელონ სპეციალიზირებულ დარგებში, რომელშიც მოდული სპეციალიზებულია კვლევით ინსტიტუტებში. განაგრძონ სწავლა თსუ დოქტორანტურაში. კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ეძლევათ იმუშაონ საჯარო სამსახურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, მეცნიერების, კულტურის, პოლიტიკის შესახებ ანალიზისა და შეფასების ექსპერტად. სხვადასხვა კულტურულ-სოციალურ დაწესებულებაში. ამერიკული ფილოსოფიის მაგისტრანტ დამთავრებული დასაქმდება: ფილოსოფიისა და ამერიკანისტიკის განყოფილებებში და ცენტრებში უნივერსიტეტებში, ფილოსოფიის ინსტიტუტი, საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა ინტერესის არეალში შედის ამერიკანისტიკის პრობლემები, საქართველოსა და ამერიკის ურთიერთობებით დაინტერესებული სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, ენებში სათანადო მომზადების შემთხვევაში სტუდენტებს შეიძლება პრეტენზია ჰქონდეთ მსოფლიოს იმ უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებთან თანამშრომლობისა, სადაც ანალოგიური ცენტრები (Philosophy, American Studies) არსებობს.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- პროგრამა გათვალისწინებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალ-პოლიტიკურ მეცნიერებათა, სამართალმცოდნეობის ბაკალავრთათვის. მეოთხე მოდულზე ლოგიკა და ფილოსოფიის ისტორია ონტოლოგიურ-ეპისტემოლოგიური ასპექტით, თავის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიიღებიან ფილოსოფიის ბაკალავრიატდამთავრებულები, გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია მოდულის ხელმძღვანელის რეკომენდაციით.

- ეთიკის მოდულის სპეციალობაზე მაგისტრატურის კანდიდატს მოეთხოვება სრულად წარმოადგინოს მასალა თავის სასწავლო–სამეცნიერო აქტივობასთან დაკავშირებით. მაგ: საკურსო და საკონფერენციო ტემები, პუბლიკაციები, საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილება. მოცემული საბუთების მფლობელს უპირატეობა მიენიჭება კონკურისის არსებობის პირობებში. უპირატესობის

კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული კონკრეტული საბუთის გაცნობის საფუძველზე, დასკვნები და მოტივები ღია იქნება კონკურსანტებისათვის.

- სპეციალობაში მისაღები გამოცდები ჩატარდება წერით, საკითხები სპეციალურად მომზადდება ამ სპეციალობის მსურველთათვის. გამოცდებამდე არა უგვიანეს ორი თვისა, საგამოცდო საკითხები განთავსდება ჰუმანიტარული ფაკულტეტის ვებ-გვერდზე, გამოიკვრება ფილოსოფიის ინსტიტუტში თვალსაჩინო ადგილას, შეიძლება გამოქვეყნდეს თსუ გაზეთში.
  მაგისტრს მოეთხოვება უცხო ენის B1 კატეგორიის ცოდნა (რუსული, გერმანული, ფრანგული, ინგლისური, იტალიური, ესპანური) (იხილეთ სამაგისტრო პროგრამის ინსტრუქცია დანართი IV).
- პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.

კვლევითი კომპონენტი:
მაგისტრანტს შეეძლება აირჩიოს სამეცნიერო თემა კულტურისა და ესტეთიკის, პოლიტიკური ფილოსოფიის ამერიკული ფილოსოფიისა, ლოგიკისა და ფილოსოფიის ისტორიის ონტოლოგიის და ეპისტემოლოგიის პრობლემატიკიდან. კულტურის სხვადასხვა დარგებთან მათი ურთიერთმიმართების თემატიკიდან.

სამაგისტრო ნაშრომი სავალდებულოა, მოიცავს 30 კრედიტს, სრულდება IV სემესტრში

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:
სამაგისტრო პროგრამა (მოდულები) განხორციელდება თსუ ფილოსოფიის ინსტიტუტში. პროგრამის განხორციელებაში ძირითადად დაკავდებიან ფილოსოფიის მიმართულების პროფესორები, მაგრამ მოდულთა სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მოწვეულნი იქნებიან – 3-4 პროფესორი.

სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილი იქნება კომპიუტერით და ინტერნეტით. მაგისტრანტებს საშუალება ექნებათ გაეცნონ ვებ-გვერდზე განთავსებულ უცხოურ მასალებს, რომელიც მათ ხელს შეუწყობს პროგრამით გათვალისწინებული საგნების წარმატებით დაუფლებაში.
პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის ამა თუ იმ საგნის ლექტორი მაგისტრანტებს უზრუნველყოფს საჭირო ლიტერატურით. ამავე დროს, მაგისტრანტები ისარგებლებენ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბიბლიოთეკით, ფილოსოფიის ინსტიტუტის შალვა ნუცუბიძის სახელობის კაბინეტით, სადაც არსებობს საჭირო ლიტერატურა. საჭიროების შემთხვევაში ასევე შეეძლებათ ისარგებლონ აკადემიის სისტემის ფილოსოფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკით.

სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება თსუ ამერიკის შესწავლის ცენტრის, საქართველოს ეროვნული და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკების, ხელნაწერთა ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებებისა თუ კერძო კოლექციების ბაზაზე; თსუ ამერიკის შესწავლის ცენტრს აქვს კომპიუტერული ბაზა, ინტერნეტი, მდიდარი ვიდეო და აუდიოთეკა, შესაბამისი ვიდეო და აუდიოტექნიკა.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

№	**სასწავლო კურსის დასახელება**	**სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი**	**კრედიტების საერთო რაოდენობა**
პროგრამის სავალდებულო საგნები (20 კრედიტი)			
	კულტურის თანამედროვე ტრანსფორმაციები	სავალდებულო	5
	პოლიტიკური ფილოსოფია	სავალდებულო	5
	ონტოლოგიის ისტორიის ძირითადი დებულებები	სავალდებულო	5
	ეთიკა	სავალდებულო	5
I მოდული – კულტურის ფილოსოფია და ესთეტიკა (30 კრედიტი)			
	თანამედროვე ესთეტიკის აქტუალური პრობლემები	სავალდებულო	5
	კულტურის ფენომენოლოგია	სავალდებულო	5
	ანტიკური ესთეტიკა	სავალდებულო	5
	კულტურის ჰერმენევტიკა	სავალდებულო	5
	რომანტიზმის ესთეტიკა	სავალდებულო	5
	კულტურის ინდუსტრია	სავალდებულო	5
მოდული II, პოლიტიკური ფილოსოფია			
	ძალაუფლების ფილოსოფიური თეორიები (ფ. ნიცშე, მ. ფუკო)	სავალდებულო	5
	პოლიტიკური მორალი ფილოსოფია	სავალდებულო	5
	მ. ჰაიდეგერის პოლიტიკური ფილოსოფია	სავალდებულო	5
	ანტიკური პოლიტიკური ფილოსოფია (სპეც. სემინარი)	სავალდებულო	5
	განმანათლებლობის დიალექტიკა	სავალდებულო	5
	ახალი დროის პოლიტიკური ფილოსოფია	სავალდებულო	5
	პოლიტიკური იდეოლოგიების ფილოსოფიური საფუძვლები	სავალდებულო	5
	კომუნიკაციების თანამედროვე თეორიები	სავალდებულო	5
მოდული III მორალის ფილოსოფია და გამოყენებითი ეთიკა			
	თანამედროვე კონტინენტური და ამერიკული ეთიკური თეორიები	სავალდებულო	5

	ბიოეთიკა	სავალდებულო	5
	აღმოსავლური ეთიკური თეორიები	სავალდებულო	5
	პლატონ-არისტოტელეს ეთიკური ფილოსოფია	სავალდებულო	5
	პოლიტიკური მორალის ფილოსოფია	სავალდებულო	5
	ქრისტიანული ეთიკა	სავალდებულო	5
	სამართლიანობის თეორიები	სავალდებულო	5
	ბიზნესის ეთიკა	სავალდებულო	5
	ონტოლოგიის ისტორიის ძირითადი დებულებები (<u>საერთო საგანი ყველა მოდულისთვის)</u>	სავალდებულო	5
	პლატონი და არისტოტელე (ონტო-ლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები)	სავალდებულო	5
	პირველი საფეხურის პრედიკატების კლასიკური ლოგიკა	სავალდებულო	5
	ლოგიკა ანტიკურობასა და შუა საუკუნეებში	სავალდებულო	5
	ნეოპლატონიზმი: მეტაფიზიკასა და ცხოვრების წესს შორის	სავალდებულო	5
	გერმანული კლასიკური იდეალიზმი: ძირითადი ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური პრობლემები	სავალდებულო	5
	იდეალური ენა და ლოგიკური ატომიზმი (ბ. რასელი, ადრეული ვიტგენშტაინი)	სავალდებულო	5
	მნიშვნელობის სემანტიკური ანალიზის თეორიები (გ. ფრეგე, ბ. რასელი, კ.ი.ლუისი, რ. კარნაპი,	სავალდებულო	5
	სოკრატემდელი ფილოსოფიის ჰაიდეგერისეული ინტერპრეტაცია	სავალდებულო	5
	გვიანდელი ვიტგენშტაინი და ენის ფილოსოფია	სავალდებულო	5
	დედუქციურ მეცნიერებათა მეთოდოლოგიის შესავალი	სავალდებულო	5
არჩევითი საგნები I მოდულისათვის – კულტურის ფილოსოფია და ესთეტიკა			
	მხარტვრული ნაწარმის ესთეტიკური ანალიტიკა	არჩევითი	5
	კულტურის ფილოსოფია	არჩევითი	5
	კულტურა და ზნეობა	არჩევითი	5
	გერმანული კლასიკური ესთეტიკა	არჩევითი	5
	ესთეტიკა	არჩევითი	5

	გლობალიზაციის პროცესი და ნაციონალური იდენტობა	არჩევითი	5
	ქართული ესთეტიკური აზრის ისტორია	არჩევითი	5
	კომუნიკაციის თეორიები	არჩევითი	5
	წარმოსახვა და ხელოვნება	არჩევითი	5
	კულტურის ემპირიული კვლევის მეთოდები (სხვა პროგრამიდან)	არჩევითი	5
	აქსიოლოგია	არჩევითი	5
არჩევითი საგნები II მოდულისათვის – პოლიტიკური ფილოსოფია			
	ამერიკული პოლიტიკური ფილოსოფია	არჩევითი	5
	სახელმწიფოს კონტრაქტული თეორია (სპეც. სემინარი)	არჩევითი	5
	ბიოეთიკა და პოლიტიკური კულტურა	არჩევითი	5
	გლობალიზაციის პროცესი და ნაციონალური იდენტობა	არჩევითი	5
	გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ტრანსფორმაცია	არჩევითი	5
	მოდერნის და პოსტმოდერნის პოლიტიკური ფილოსოფია	არჩევითი	5
	ალექსი დე ტოკვილის პოლიტიკური ფილოს-ოფია	არჩევითი	5
	კლასიკური პოლიტიკური ფილოსოფია	არჩევითი	5
არჩევითი საგნები III მოდულისათვის – მორალის ფილოსოფია და გამოყენებითი ეთიკა			
	კანტის ეთიკური მოძღვრება	არჩევითი	5
	პოსტმოდერნული ეთიკა	არჩევითი	5
	ეკოეთიკა	არჩევითი	5
	არისტოტელეს”ნიკომაქეს ეთიკა’	არჩევითი	5
	მური ë”ეთიკის პრინციპები”	არჩევითი	5
	განათლების ფილოსოფია და მასწავლებლის ეთიკური კოდექსი	არჩევითი	5
	გვიანანტიკური და ადრე ქრისტიანული ეთიკური მოძღვრებები	არჩევითი	5
	თანამედროვე ეთიკური პრობლემები	არჩევითი	5
	საინფორმაციო ეთიკა	არჩევითი	5
	პოლიტიკური ლიდერობა და ეთიკა	არჩევითი	5
არჩევითი საგნები IV მოდულისათვის - ლოგიკა და ფილოსოფიის ისტორიის ონტოლოგიურ ეპისტემოლოგიური ასპექტები			
	სიცოცხლის ფილოსოფიისა და ეკსისტენციალიზმის ანთროპო-ლოგიური პრობლემები	არჩევითი	5

	ენა და ყოფიერება (ჰაიდეგერი, ნ. მარი, ჯ. ტოლკიენი)	არჩევითი	5
	XI-XII საუკუნეების ბიზანტიური და ქართული ფილოსოფია	არჩევითი	5
	ანტიკური და შუა საუკუნეების ფილოსოფია: ონტოლოგიური და ეპისტემოლოგიური პრობლემები	არჩევითი	5
	მნიშვნელობა, რეფერენცია, აუცილებლობა	არჩევითი	5
	გამომდინარეობის კლასიკური მიმართების კრიტიკა (რელევანტური და პარათავსებადი ლოგიკები	არჩევითი	5
	სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო	30
	სულ		**120**

საგამოცდო ბილეთის სტრუქტურა და შეფასება ქულებში

გამოცდა შეფასდება 100 ქულიანი სისტემით. ბილეთში შედის 4 საკითხი, თითოეული საკითხი ფასდება მაქსიმუმ 25 ქულით. ყოველი საკითხი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

1. საკითხის დასმა (5 ქულა.) 2. მასალის ფლობა (5 ქულა.) 3. ანალიზი (5 ქულა.) 4. არგუმენტაცია (5 ქულა.) 5. წერის კულტურა (5 ქულა.).

საგამოცდო საკითხები:

I.

1. სიცოცხლის ფილოსოფოსები კულტურის შესახებ.
2. ნეოკანტიანელები კულტურის შესახებ.
3. კულტურის ფუნქციები.
4. ესთეტიკის საგანი
5. ესთეტიკური ობიექტის ფორმისეული გარკვეულობა
6. ესთეტიკური განცდა და ესთეტიკური გემოვნება
7. ხელოვნების არსის შესახებ.

ლიტერატურა

1. აკაკი ყულიჯანიშვილი ,,კულტუროლოგია” 2001წ
2. ა. ყულიჯანიშვილი «ესთეტიკა” 2006წ.

II.

1. პოლიტიკური ფილოსოფიის საგანი.
2. საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია.
3. თავისუფლება – პოზიტიური და ნეგატიური თავისუფლება.

4. ბუნებრივი მდგომარეობა და სახელმწიფო, ჰობსი და ლოკი.
5. პოლიტიკური ძალაუფლების თეორია.
6. თავისუფლება, როგორც პოლიტიკური ფილოსოფიის კატეგორია
7. სამართლიანობა და თანასწორობა

ლიტერატურა

1. დომენიკ კოლა, პოლიტიკური სოციოლოგია თბ. 1999წ.
2. იანოშ კიში, შესავალი, თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის ანთოლოგია, თბილისი,1997
3. ჯ. თეიჯმანი, ჯ. ევანსი, ,,ფილოსოფია" სახელმძღვანელო დამწყებთათვის. თბ. 2000წ.
4. ი. ბრაჭული, ა. ზაქარიაძე, ვ. რამიშვილი, დ. ჯალაღონია «ფილოსოფიის შესავალი» თბ. 2009 წ.
5. ამირან ბერძენიშვილი პოლიტიკური სოციოლოგია თბ. 2003წ.

III.

1.ეთიკის საგანი
2.ეგოიზმი და ალტრუიზმი
3.მოვალეობის თეორიები
4.უტილიტარიზმის ტიპები
5.გამოყენებითი ეთიკის სფეროები
6.კანტიანური მაქსიმას ანალიზი.
7.ბედნიერების გაგება არისტოტელესთან

ლიტერატურა:

1. ჯ. მური. ეთიკის საფუძვლები. თბ., 2003
2. არისტოტელე . ნიკომაქეს ეთიკა. თბ.,1998
3. ნეტ. ავგუსტინე. აღსარება. თბ.,2001
4. პლატონი. დიალოგები: ა)ფილებოსი, ბ)სოკრატეს აპოლოგია, გ)სახელმწიფო
5. ი. კანტი. რელიგია მხოლოდ გონების ფარგლებში. 1987.
6. ი.ბრაჭული, ა.ზაქარიაძე, ვ.რამიშვილი, დ.ჯალაღონია. ფილოსოფიის შესავალი. თბ;2009

IV.

1. რა არის ფილოსოფია.
2. პლატონის იდეების თეორიის არსი.
3. არისტოტელეს პირველი ფილოსოფია.
4. ემპირიზმი და რაციონალიზმი.
5. კანტის ფილოსოფიის ძირითადი ამოცანა.
6. საწინადადებო მაკავშირებლები (ჭეშმარიტების ცხრილები).
7. ცნების მოცულობა და შინაარსი.

ლიტერატურა

1. ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში 1993წ.

2. ლ. მჭედლიშვილი, ნ. ივანიძე. ,,ლოგიკა”, 2003წ.

მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველებმა კონსულტაციისათვის შეიძლება მიმართონ პროგრამის ხელმძღვანელს და მოდულის ხელმძღვანელებს. საკონტაქტო ტელ: 22-11-87. 893. 10. 02. 14. საგამოცდო საკითხების შესახებ ლიტერატურა შეიძლება მოიპოვოთ ფილოსოფიის მიმართულების (ინსტიტუტის) ბიბლიოთეკაში.